



საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი, #99, ტელ: (+995-32) 116 001; ელ.ფოსტა: [ncdc@ncdc.ge](mailto:ncdc@ncdc.ge); ვებ.გვერდი: [www.ncdc.ge](http://www.ncdc.ge)  
99, Kakheti Highway, Tbilisi, 0198, Georgia, Phone: (+995-32) 116 001; E-mail: [ncdc@ncdc.ge](mailto:ncdc@ncdc.ge); Web: [www.ncdc.ge](http://www.ncdc.ge)

## სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დასკვნა

„დაბა (კურორტ) გომისმთის განაშენიანების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების  
სკოპინგის ანგარიშზე“

**დამგეგმავი ორგანო:** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია;

სსიპ ლ. საყვარელიძის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრში (შემდგომში -ეროვნული ცენტრი) შემოსული „დაბა (კურორტ) გომისმთის განაშენიანების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიშის“ და თანმხლები დოკუმენტების განხილვის საფუძველზე მომზადდა ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების მიზნით სკოპინგის დასკვნა:

„დაბა გომისმთის განაშენიანების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიში“ და შესაფასებელი სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფცია შესაბამისობაში უნდა იყოს „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ და „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ“ საქართველოს კანონების, ასევე „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილების და „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების მირითადი დებულებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №261 დადგენილების მოთხოვნებთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ეროვნული ცენტრის მიერ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის და „გარემოსდაცვითი შეფასების სფეროში ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 სექტემბერის №420 დადგენილებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში განხილულ იქნა მოწოდებული მასალა.

„დაბა გომისმთის განაშენიანების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიშთან“ ერთად წარმოდგენილია სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფცია.

„დაბა გომისმთის განაშენიანების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიში“-ს შეფასებისათვის სოციოლოგიურ/დემოგრაფიული, გარემოსა და

ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების მიმართულებით, ცენტრის კომპეტენციიდან გამომდინარე, განისაზღვრა ძირითადი პრიორიტეტები, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შესაფასებლად გამოიყენება - ჰაერის დაბინძურების, წყლის დაბინძურების, სასმელი და მინერალური წყლების, ადექვატური სანიტარიის, რადიაციული უსაფრთხოების, სამედიცინო სერვისებზე ((რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ უკავშირდება გადამდები და არაგადამდები დაავადებების განვითარებას) ხელმისაწვდომობის დონე) და გამოყენებული იქნა ორი ინსტრუმენტი:

1. წარმოდგენილი ინფორმაციის კვლევების/ მტკიცებულებების შეფასება.
2. წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე პრიორიტეტული ზემოქმედების ფაქტორების იდენტიფიცირება და შესაბამისი დასკვნის მომზადება.

გარდა ამისა, დასკვნის მოსამზადებლად გამოყენებულ იქნა საქართველოში მოქმედი კანონები, ხელშეკრულებები და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, და საერთაშორისოდ აღიარებული დოკუმენტები, კერძოდ:

საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“.

საქართველოს კანონი „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კანონი

საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“

საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი კოდექსი“

საქართველოს კანონი „წყლის შესახებ“

საქართველოს კანონი „ნიადაგის დაცვის შესახებ“

საქართველოს კანონი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“

საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“;

საქართველოს კანონი „მდინარეთა ნაპირების რეგულირების შესახებ“;

საქართველოს კანონი „ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ“

საქართველოს კანონი „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“

საქართველოს კანონი „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“;

კონვენცია „ევროპის დაცული ლანდშაფტების შესახებ“

კონვენცია „ტრანსასაზღვრო წყლებისა და საერთაშორისო ტბებისა დაცვისა და გამოყენების“ შესახებ ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების შემცირების ეროვნული სტრატეგია.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის №303 დადგენილება „კულტურის სტრატეგია 2025-ის დამტკიცების შესახებ“ .

UNITED NATIONS ECONOMIC COMMISSION FOR EUROPE (UNECE). Resource Manual to Support Application of the Protocol on Strategic Environmental Assessment.

UNITED NATIONS. New York and Geneva, 2012; GUIDELINES ON PRACTICAL APPLICATION OF STRATEGIC ENVIRONMENTAL ASSESSMENT IN GEORGIA. OECD, UNEP, UNECE and UNIDO.

2016; NHS. London Healthy Urban Development Unit. Rap id Health Impact Assessment Matrix. 2017;

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის სახელმძღვანელო დოკუმენტები <https://www.who.int/hia/en/> ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად შემუშავებული სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები, ტექნიკური რეგლამენტები, სხვადასხვა სექტორალური სტრატეგიები და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული რეკომენდაციები.

ასევე, განხილულ იქნა ის სტრატეგიული დოკუმენტები, რომლებიც აღნიშნულ სტრატეგიულ დოკუმენტთან მიმართებაში არის წარმოდგენილი „დაბა გომისმთის განაშენიანების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიშთან“ შესაბამისად.

- „გურიის რეგიონის განვითარების 2014 – 2021 წლების სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 სექტემბრის №1363 განკარგულება;
- „ტექნიკური რეგლამენტის – კოლხეთის ეროვნული პარკისა და კაცობურის აღვეთილის მენეჯმენტის გეგმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 5 დეკემბრის №601 დადგენილება;
- „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2018-2022 წლებში წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა“ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვის საფუძველზე, მომზადდა შენიშვნები და შესაბამისი რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება შემდგომი ეტაპისთვის მნიშვნელოვანია.

### **შენიშვნები და კომენტარები სკოპინგის ანგარიშზე**

მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტში საკმაოდ კარგად არის მოცემული ინფორმაცია კვლევების ჩატარების საჭიროების შესახებ სხვადასხვა მიმართულებით, მნიშვნელოვანია სკოპინგის ანგარიშის დოკუმენტი ასახული იყოს მეტი დეტალიზაცია განაშენიანების განვითარების ეტაპზე ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების ფაქტორების შესახებ.

#### **1. სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა**

წამოდგენილი დოკუმენტის მიხედვით ირკვევა, რომ განაშენიანების ტერიტორიაზე მუდმივი მოსახლეობა არ არის, სამედიცინო დაწესებულება არ არის და მხოლოდ 8 კმ-ის დაშორებითაა. განაშენიანების განვითარების ეტაპზე, იგეგმება სასტუმროს შენობაში პირველადი დახმარების სამედიცინო პუნქტის განთავსება, თუმცა არ არის ინფორმაცია მოცემული რა ტიპის სერვისებზე იქნება გათვალისწინება, როგორ იფუნქციონირებს (გაუწევს თუ არა ადგილობრივ მოსახლეობას

სამედიცინო სერვისს და როგორ დააკმაყოფილებს ინფრასტრუქტურა სამედიცინო სერვისების მომწოდებელთათვის დადგენლ სტანდარტებს). ვინაიდან განაშენიანების ტერიტორია არის ტურისტული ზონა, მნიშვნელოვანია აფთიაქების არსებობა, როგორც ადგილობრივი, ასევე დამსვენებელთა ხელმისაწვდომობის მიზნით. ამიტომ, მიზანშეზონილია განაშენიანების ეტაპზე სამედიცინო სერვისებისა და სააფთიაქო ქსელის (ვეტერინარულიც) განვითარებას მიექცეს ყურადღება, რაც დასაქმებასაც შეუწყობს ხელს.

მნიშვნელოვანია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად შესაძლო ინციდენტების განსაზღვრა და მათი შედეგების შეფასება, მათ შორის, ავარიულ სიტუაციებზე და კატასტროფებზე რეაგირება.

## 2. საგანმანათლებლო დაწესებულებები

გომისმთის ტერიტორიაზე არ არის განთავსებული საგანმანათლებლო დაწესებულებები, თუმცა მნიშვნელოვანია სამომავლოდ გათვალისწინებულ იქნეს სპორტულ-გამაჯანსაღებელი და საწვრთნელი ბაზები, შესაბამისი ინფრასტრუქტურით.

## 3. სხვადასხვა სახის ტურიზმის განვითარება

გომისმთის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები, შავიზღვისპირეთისა და მაღალმთიანეთის კურორტული ზონები, კულტურულ-ისტორიული ძეგლების სიმრავლე, მინერალური წყლები და სხვა ბუნებრივი რესურსები ქმნის კარგ პირობებს სხვადასხვა სახის ტურიზმის (რეკრეაციული, სამეცნიერო, ეკოტურიზმი, აგროტურიზმი, სამედიცინო ტურიზმი, სამთო-სათხილამურო ტურიზმი, საქმიანი ტურიზმი, სათავგადასავლო ტურიზმი, პილიგრიმული ტურიზმი, გასტრონომიული ტურიზმი, ღვინის ტურიზმი და სხვ.) განსავითარებლად. რეგიონის მაღალმთიან ალპურ ზონაში კურორტი - გომისმთა (2130 მ) საშუალებას იძლევა საბაგირო ინფრასტრუქტურის განვითარებისა და პანორამული გადასახედების მოსაწყობად. მნიშვნელოვან ტურისტულ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს კოლხეთის ეროვნული პარკი. პარკის ტერიტორიაზე მოწყობილია შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ტურიზმის პოტენციალის ჯეროვანი გამოყენება და განვითარება შეამცირებს საკურორტო ზონების სეზონდამოკიდებულების მაღალ ხარისხს.

გურიის განვითარების სტრატეგიის 2014-2021წწ შესაბამისად, უნდა შემუშავდეს ტურიზმის განვითარების მუნიციპალური პროგრამები ისევე, როგორც მთლიანად რეგიონის ტურიზმის განვითარების სტრატეგია, რომელიც განსაზღვრავს და დააკონკრეტებს ამ სფეროს განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებსა და საქმიანობებს და უზრუნველყოფს სფეროს გრძელვადიან, ეკოლოგიურად გონივრულ და კონკურენტუნარიან განვითარებას და სხვა. მნიშვნელოვანია სათანადო ტურისტული ინფრასტრუქტურის, ისევე როგორც შესაბამისი პოლიტიკის შექმნაში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის დონის გაზრდა,

ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და დასაქმების პროგრამების შემუშავება. ასევე ეტაპობრივად ტურისტული სააგენტოების, შესაბამისი კადრების და რეგიონში ტურისტული ნაკადების ორგანიზებული შემოდინების ხელშეწყობა, რეგიონში ტურიზმის საინფორმაციო ცენტრ(ებ)ის შექმნა და კეთილმოწყობა.

საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარებამდე მნივნელოვანია დადგინდეს მინერალური წყლის საბადოს სანიტარიული დაცვის ზონები და რეჟიმი. დადგინდეს ჰიდროგეოლოგიური თავისებურებები, რომელ ქანებთან არის დაკავშირებული, როგორია გენეზისი, რა ქანებში ხდება გავრცელების არე და განტვირთვა. ადგილზე ჰიდროლოგები რა ღონისძიებებს თვლიან აუცილებლად მინერალური წყლის დაბინძურების თავიდან აცილებისათვის. მნიშვნელოვანია შესწავლილ იქნეს მინერალური სამკურნალო წყლის კონდიცია. ასევე დატანილ უნდა იქნეს ტოპოგრაფიულ რუკაზე სდზ-ი.

შესაბამისად, სდზ-ის დადგენის შემდეგ შესაძლებელია დაიგეგმოს და განხორციელდეს გომისმთის სივრცითი ტერიტორიული დაგეგმვა და სამომავლოდ დასახლებების ინფრასტრუქტურული იქნახე - შენობა-ნაგებობების, ეზოების, ქუჩების, ტროტუარების, მოედნების, სკვერების და პარკების. საკურორტო და სარეკრეაციო ობიექტების, მათთან მისასვლელი გზებისა და ინფრასტრუქტურის მოწესრიგება; ისტორიული და კულტურული ძეგლებისა და ობიექტების კეთილმოწყობა რეაბილიტაცია და მათთვის იურიდიული სტატუსის მინიჭება. მხარის საინფორმაციო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; ქალაქებში, სოფლებში, გზებზე და მაგისტრალ-ტრასებზე ისტორიული და ბუნებრივი ძეგლების, ტურისტული ობიექტების მიმანიშნებელი საგზაო ნიშნების, ასევე ქუჩების სახელდებებისა და ნუმერაციის აღმნიშვნელი (მიმართულების მიმანიშნებელი) ფირნიშების და აბრების დამონტაჟება ქართულ და ინგლისურ ენებზე; ტურისტთა დაბინავების ადგილებისა და კვების ობიექტების (მათ შორის, სწრაფი კვების ობიექტების) თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოწყობის წახალისება; საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოწყობა ტურისტული ობიექტების სიახლოვეს და სხვა.

„საქართველოს კურორტების ნუსხისა და სტატუსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 ივლისის №428 დადგენილების შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მდებარე გომისმთა წარმოადგენს კლიმატური კურორტის ტიპის პროფილაქტიკური პროფილის მქონე საკურორტო ადგილს. „სამკურნალო კატეგორიას მიკუთვნებული წყლის ობიექტების ნუსხისა და მინერალური წყლის ხარისხისადმი წაყენებული ჰიგიენური მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 5 ნოემბრის #310/ნ ბრძანების შესაბამისად, მინერალური წყლის კონდიციის შესწავლის შემდეგ უნდა დადგინდეს მინერალური წყლის პროფილი და ჩატარდეს მინერალური წყლის ხარისხის შეფასება. ასევე დადგინდეს ორგანიზმზე ზემოქმედების ხასიათის მიხედვით გამოყენება შესაძლებელია გარეგანი (მინერალური წყლის აბაზანები) თუ შინაგანი (სასმელი, ინჰალაცია, შესხურება,

მოსხურება) გამოყენებისათვის, რაც ამ ეტაპზე არ არის განხორციელებული, ხოლო წარმოდგენილი მასალა ამ საკითხთან მიმართებით არ არის საკმარისი.

#### **4. ადაპტირება შშმ პირთა მოთხოვნებთან**

გომისმთის განვითარების ხედვის ნაწილში შშმ პირების მოთხოვნების ადაპტირების ჭრილში თავიდანვე განხილულ უნდა იქნეს, რომ „განვითარდეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების-შშმ საჭიროებებზე ორიენტირებული საზოგადოებრივი სივრცეებისა და სარეკრეაციო კეთილმოწყობილი სისტემა“, თუმცა, სკოპინგის დოკუმენტის ნაწილში არ გვხვდება ამ შინაარსის მქონე ინფორმაცია.

მიზანშეწონილია, ხედვაში უფრო დეტალურად მოხდეს აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში დაგეგმილი ღონისძიებების ასახვა.

#### **5. წყალმომარაგება და სანიტარია**

წარმოდგენილი მასალების შესაბამისად, წყალმომარაგების ცენტრალური სისტემა პრაქტიკულად არ არსებობს. წყლით მოსარგებლენი არიან ადგილობრივი მოსახლეობა, დამსვენებლები, სასტუმროები და დასასვენებელი სახლები, კვების ობიექტები და სხვა, რომლებიც სასმელად და საკვების მოსამზადებლად იყენებენ სავაჭრო ქსელში ნაყიდ, ბოთლებში ჩამოსხმულ წყალს, თუმცა სასმელად და სამეურნეოდ მირითადად გამოყენებულია ინდივიდუალურად მოწყობილი ჭები და ჭაბურღილები წყლის საეჭვო ხარისხით. არ ფუნქციონირებს საკანალიზაციო კოლექტორი. სამეურნეო-ფეკალური მასების შეგროვება ხდება საასენიზაციო ორმოებში, რომლებიც უნდა იცლებოდეს საასენიზაციო მანქანების საშუალებით. ორმოების დიდი უმრავლესობა მოწყობილია სამშენებლო და სანიტარიული წესებისა და ნორმების უხეში დარღვევით, რის გამოც ძალზედ მაღალია ნიადაგის, გრუნტის წყლებისა და აქედან გამომდინარე ჭების და ჭაბურღილების წყლის დაბინძურების რისკი. წყლის რესურსებზე მოთხოვნა გაიზრდება. დასახლებების და ტურიზმის განვითარება, ახალი დასახლებების და ახალი ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა საჭიროებს საკმარისი რაოდენობის ხარისხიანი წყლით მომარაგებას. შესაბამისად უნდა განვითარდეს საკანალიზაციო სისტემა. წარმოდგენილ დოკუმენტში აღწერილი უნდა იქნეს დეტალურად რომელი წყალმომარაგების წყარო იქნება გამოყენებული სასმელად, შეფასდეს მისი ხარისხი და უზრუნველყოფილ იქნეს კურორტი 24 საათიანი უწყვეტი, სათანადო ხარისხის მქონე წყალმომარაგებით და ადექვატური სანიტარიული პირობები.

#### **6. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება**

ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობის შეფასებას დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც დამსვენებელთა და ტურისტების ჯანმრთელობისთვის, ასევე, ბიოლოგიური

მრავალფეროვნებისთვის. წარმოდგენილი საკურორტო ადგილი მდებარეობს ალპურ ზონაში და ჰაერის დამაბინძურებელი საწარმო არ არის განთავსებული.

მნიშვნელოვანია, რომ სამომავლოდ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებისას დაიგეგმოს პერიოდულად ჰაერის ხარისხის შეფასება და აისახოს მონიტორინგის მონაცემები ჰაერის კონკრეტულ დამაბინძურებლებზე (მყარი ნაწილაკები - PM10, PM2.5, აზოტის ჟანგეულები, მიწისპირა ოზონი, გოგირდის დიოქსიდი).

რეკომენდებულია, რომ სეჭ დოკუმენტი მოიცავდეს საავტომობილო გზის არსებული და დაგეგმილი ალტერნატივების დეტალურ ანალიზს, რათა შესაძლებელი იყოს სამომავლოდ დაბინძურების თავიდან აცილება და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასება.

ცნობილია, რომ საქართველოში მაღალია შენობის შიდა ჰაერის დაბინძურების მაჩვენებელი, თუმცა წარმოდგენილ პროექტში არ არის გაანალიზებული რა ტიპის საწვავი გამოიყენება შინამეურნეობებში საკვების მომზადებისა და გათბობის მიზნით. ამას გარდა, მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის თამბაქოს წინააღმდეგ ბრძოლის ჩარჩო კონვენციით განსაზღვრული პრინციპების ამოქმედება, რაც გულისხმობს თამბაქოსაგან თავისუფალი ადგილების შექმნას და სასურველია, ეს აისახოს პროექტში.

პროექტში შემოთავაზებული განვითარების ხედვების გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია „მწვანე ქალაქის“ და ენერგოფექტურობის პრინციპების დანერგვა საბინაო სექტორში და სხვა შენობა ნაგებობების მშენებლობის პროცესში, ისევე როგორც მნიშვნელოვანია, ქალაქისათვის განისაზღვროს ატმოსფერული ჰაერის გაუმჯობესების ღონისძიებები, გეგმის ამოქმედების მონიტორინგის ინდიკატორები და შერბილების ღონისძიებები.

ასევე მნიშვნელოვანია ფეხით სიარულის, ველოსიპედის ელექტროტრანსპორტის გამოყენების ხელშეწყობა (ინფრასტრუქტურის შექმნა/ტროტუარები, საფეხმავლო და ველო ბილიკები და სხვ.); მდგრადი „მწვანე“ ადგილობრივი საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება.

## 7. ხმაური

წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე ხმაურის გამომწვევი ძირითადი წყარო სამომავლოდ შესაძლებელია იყოს მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ხმაური და ასევე სატრანსპორტო საშუალებების შედეგად. შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე უნდა დაიგეგმოს განაშენიანება ან/და სატრანსპორტო ქსელთან (გზებთან) დაკავშირებული ცვლილებები ისე უნდა იქნას დაგეგმილი, რომ მაქსიმალურად შემცირდეს ხმაურის დონე, რისთვისაც ხმაურის მონიტორინგი, გაზომვა და შეფასება განხორცილედება. მნიშვნელოვანია ტურისტებისა და დამსვენებლებისათვის საბაგირო ინფრასტრუქტურის განვითარება.

შესაძლებელია გომისმთის დღევანდელი ეკოლოგიური ფონიდან გამომდინარე, ძლიერი ანთროპოგენური ფაქტორის გამო მუქწიწვოვანი ტყის საფარველმა 300 მ -ით დაბლა დაიწია მაღალი იქნება აკუსტიკური რეჟიმი ვინაიდან ღია სივრცეა და არავითარი ხმაურის დამხმობი

ტყის საფარველი აღარაა. ამიტომ განაშენიანება შეძლებისდაგვარად ოპტიმალურად იყოს დაგეგმილი ხმაურის დონის შესამცირებლად, განსაკუთრებით საკურორტო სეზონისას.

## 8. ელექტრომაგნიტური ველი და რადიაცია

იმ შემთხვევაში თუ განაშენიანების ეტაპზე გაიზრდება საკომუნიკაციო საშუალებებზე მოთხოვნა, მიზანშეწონილია, ელექტრომაგნიტური საკომინიკაციო საშულებები და ინფრასტრუქტურა ისე განთავსდეს, რომ დაცული იქნეს კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმები მათი ინსტალაციის, დასახლებულ ტერიტორიებთან დაშორების და ზღვრულად დასაშვები გამოსხივების შესახებ.

## 9. რადიაციული ფონი და რადიოაქტიური ობიექტების არსებობა

სკოპინგის ანგარიშის დოკუმენტში არ არის მოწოდებული ინფორმაცია კურორტის დაგეგმილი განაშენიანების ტერიტორიაზე რადიაციული ფონის შესახებ. საჭიროა მონაცემების შეგროვება რადიაციული ფონთან დაკავშირებით და რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს რადიაციულ ფონს განაშენიანების შედეგად ადამიანს ჯანმრთელობაზე. აუცილებელია, იმის ცოდნა თუ როგორია ბუნებრივი რადიაციული ფონი ამჟამად. მიგვაჩნია, რომ უნდა ჩატარდეს ერთჯერადად გაზომვები დადგეგმილი ინტენსიური განაშენიანების ადგილებზე, რათა განისაზღვროს რისკის არსებობა და შედეგების ანალიზი ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების მიმართულებით. აუცილებელია, რადიაციული ობიექტების შესახებ დეტალური მონაცემების მოწოდება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და მაღალი რისკის შემთხვევაში, მოდიფიცირდეს განაშენიანების პროექტი.

## 10. ნარჩენების მართვა

გომისმთა არ არის მუდმივმცხოვრები მოსახლეობით დასახლებული ტერიტორია და მხოლოდ სეზონური საკურორტო ადგილს წარმოადგენს, ნარჩენები წარმოიქმნება დროდადრო, თუმცა მათი სწორად მართვა არსებულ სიტუაციაშიც ძალიან მნიშვნელოვანია. წარმოდგენილი მასალის თანახმად, ტერიტორიას ემსახურება ოზურგეთის მუნიციპალური დასუფთავების სამსახური. გომისმთას მასშტაბით ამჟამად საყოფაცხოვრებო ნარჩენების 16 კონტეინერია განთავსებული და იგეგმება 8 კონტეინერის დამატება, თუმცა აუცილებელია გეგმის ამოქმედებამდე მოსალოდნელი ყველა ტიპის ნარჩენის და რაოდენობების გათვლები, რათა რაციონალურად იქნას გათვალიწინებული დამატებითი კონტერინერების განთავსება.

წარმოდგენილი განაშენიანების გეგმის მიხედვით, გათვალისწინებულია არსებული ტერიტორიების დატვირთვა სხვადასხვა ტიპის განაშენიანებით, როგორიცაა მუდმივი საცხოვრებლები, საკურორტო/დასასვენებელი სახლები, სასტუმროები, კვებისა და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები, აფთიაქები, სამედიცინო პუნქტი, სპორტული

ბაზები და გასართობის ტიპის ობიექტები და სხვა, ასევე ტურისტებისათვის მიმზიდველი სანახები, რომელთა მშენებლობისა და შემდეგ ექსპლუატაციის ეტაპზე გამოიწვევს ნარჩენების რაოდენობის ზრდას, რაც ნარჩენების მართვის კარგი პრაქტიკით განხორციელებას საჭიროებს.

I საკითხი - მშენებლობის პერიოდში სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა (სამშენებლო, სახიფათო, ინერტული და საყოფაცხოვრებო ნარჩენების ჩათვლით, ასევე თხევადი ნარჩენები) - წარმოდგენილ სგშ დოკუმენტში აღწერილია მშენებლობის პერიოდში რა ტიპის ნარჩენების წარმოქმნასთან გვექნება კავშირი და ასევე, მოცემულია რეკომენდაციები შესაბამისი ღონისძიებების გატარებასთან დაკავშირებით. თუმცა, სასურველი იქნებოდა კონკრეტული ინფორმაციის მოწოდება მშენებლობის ეტაპზე, დაახლოებით რა მოცულობის სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნას უნდა ველოდეთ, სად განთავსდება დროებითი სათავსოები, სად და რა სიხშირით მოხდება მათი გატანა და საბოლოო განთავსება.

მშენებლობის ეტაპზე მნიშვნელოვანია განისაზღვროს ნარჩენების ოპერირების ისეთ კომპანიებთან თანამშრომლობა, რომლებიც როგორც საყოფაცხოვრებო, ისე სამშენებლო, სახიფათო და სამედიცინო ნარჩენების მართვაზე (სამომავლოდ კურორტის გავითარების შემთხვევაში) არიან პასუხისმგებელნი, და შეძლებენ სათანადო მომსახურებას დაბის მშენებლობისას და დასრულებული ინფრასტრუქტურის ოპერირების ეტაპებზე.

II საკითხი - კურორტად ოპერირების პერიოდში, ტურისტული ნაკადების ზრდის ფონზე, საყოფაცხოვრებო, სამედიცინო და სხვა ტიპის ნარჩენების წარმოქმნა და მათი მართვა

კურორტზე საცხოვრებელი და დასასვენებელი კოტეჯების მოწყობა, ასევე სხვა საყოფაცხოვრებო შენობა-ნაგებობების მშენებლობა, სეზონური კურორტიდან მუდმივმოქმედი კურორტის ტიპზე გადაყვანის მცდელობა ტურისტებისათვის მიმზიდველი სივრცეების მოწყობით, როგორიცაა სპორტილ-გამაჯანსაღებელი კომპლექსები, სამთო-სათხოლამურო ინფრასტრუქტურა, ბალნეოლოგიური ტიპის დასასვენებელი კომპლექსები გამოიწვევს საყოფაცხოვრებო ნარჩენების ზრდის ტენდენციას. სამედიცინო პუნქტის, აფთიაქების და ვეტერინარული აფთიაქის დაბის ტერიტორიაზე გაჩენა წარმოქმნის სამედიცინო ნარჩენებს, რომლებიც სახიფათო ნარჩენების ტიპს წარმოადგენს. დაგეგმილი ბენზინგასამართი სადგური, ასევე სახიფათო ნარჩენების წარმოქმნის პოტენციალის მატარებელია, ამიტომ აუცილებელია, კურორტ გომისმთის ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება, სადაც გაწერილი იქნება ნარჩენების ტიპები, მათი მოსალოდნელი რაოდენობა ტურისტული ნაკადებისა და სეზონურობის გათვალისწინებით, მათი მართვის სქემები კონტეინერების განლაგების, მათი დაცლის დროისა და ინტენსივობის, ნარჩენების გამტანი კომპანიების ოპერირების სქემების ჩათვლით.

მნიშვნელოვანია, თხევადი ნარჩენების მართვის მკაფიო გეგმის ჩამოყალიბება, სადაც გაწერილი იქნება საკანალიზაციო და სხვა თხევადი ნარჩენების შეკრების, გაწმენდა/გაუვნებელყოფის და საბოლოო ჩაშვების სქემები. აუცილებელია, მოსახლეობისა და ტურისტების ინტენსივობის გათვალისწინება ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავებისას როგორც მყარი ასევე თხევადი ნარჩენების მიმართებაში სივრცით დაგეგმარების ტერიტორიაზე.

## **11. კლიმატის ცვლილება, ენერგოფენტურობა, განახლებადი ენერგია.**

წარმოდგენილ დოკუმენტში არ არის საკმარისი ინფორმაცია იმის შესახებ, კლიმატის ცვლილების და საშუალო ტემპერატურის ზრდის პირობებში, როგორი იქნება ბუნებრივი საფრთხეების ზემოქმედების პრევენცია, შემცირება და მართვა, (წყალდიდობები, წყალმოვარდნები, ბუნებრივი ან ადამიანის მიერ გამოწვეული სხვა საფრთხეები, სეისმური მდგომარეობა); კლიმატის ცვლილების ზემოქმედებების ზოგად შეფასებას კლიმატის ცვლილებებზე რეაგირება და სხვა. ასევე, კლიმატის ცვლილებებისადმი ადაპტაციისა და ჯანმრთელობის ზიანის შემცირების ღონისძიებებს და მონიტორინგის ინდიკატორებს.

ანალოგიური შენიშვნა არსებობს ენერგოფენტურობასა და განახლებადი ენერგიის გამოყენების საკითხთან მიმართებაშიც, რომელიც დოკუმენტშია ნახსენები. დეტალური გეგმებია საჭირო, თუ როგორ მოხდება ენერგოფენტურობის პრინციპების დანერგვა საბინაო სექტორში და სხვა შენობა-ნაგებობებში, რომელიც გათვალისწინებული უნდა იყოს მშენებლობის პროცესში, განსაკუთრებით, ეს შეეხება ტურიზმის სექტორს. როგორ და რა რესურსებით მოხდება ენერგიის ალტერნატიული („ეკოლოგიური“) წყაროების (განსაკუთრებით მზის) ფართოდ გამოყენება საზოგადოებრივი და კერძო საკუთრებაში არსებული შენობებისთვის (შინამეურნეობებში). როგორ იქნება რეალიზებული ენერგოდამზოგი მშენებლობები და რა მასშტაბით მოხდება განახლებადი ენერგიის გამოყენება, და რა რესურსებით.

## **12. გომისმთის კურორტის სეზონდამოკიდებულების დაძლევა.**

მიზანშეწონილად მიგვაჩნია კურორტის სეზონდამოკიდებულობის დასაძლევად ზამთრის ტურიზმის განვითარების ალტერნატივის განხილვა, რაც მოითხოვს დამატებით შესწავლას, მაგრამ ძალიან დიდ ზემოქმედებას იქონიებს და შეამცირებს უმუშევრობას ოზურგეთის მუნიციპალიტეტში და გამოიწვევს რეგიონის, ასევე სოფლის მეურნეობის და ადგილობრივი წარმოების განვითარებას.

გარდა იმისა, რომ გომისმთა ზაფხულის სეზონზე საოჯახო დასვენებისთვის განსაკუთრებით შიდა ტურისტებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კურორტია ის ასევე ტურიზმის დარგის ისეთი სახეობების განვითარებისთვის, როგორიცაა სათავგადასავლო ტურიზმი მთავარი გზაგასაყარია, გურიის რეგიონი უკავშირდება აჭარის რეგიონს. გომისმთის და ჯვარიმინდორის შუახევის გავლით უკვე არსებობს ერთ-ერთი ყველაზე დაახლოებით 80 კმ-ი გრძელი

გარდამავალი, საფეხმავლო მარშრუტი, რომელიც იწყება კინტრიშის დაცული ტერიტორიიდან, გადადის გომისმთაზე და სრულდება ჯვარიმინდორით ხაბელაშვილების სოფელში.

გომისმთას, ისევე როგორც ჯვარიმინდორს ზამთრის ტურიზმის განვითარების პოტენციალიც გააჩნია, რაშიც მოიაზრება თხილამურებით სრიალის ისეთი სახეობა, რომელიც გაუკვალავ თოვლზე სრიალს გულისხმობს, საქართველოში რამდენიმე წელია შემოვიდა ე.წ. "freeride" - ის სახეობა, ჯერ-ჯერობით ცოტა მიმდევარი ყავს, თუმცა საერთაშორისო ზამთრის ტურიზმის განვითარების კუთხით უდაოდ მნიშვნელოვანია. აუცილებელია დაგეგმარების პროცესში აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ტურისტული პროდუქტების შესყიდვების სააგენტოსთან ერთობლივი გეგმის შემუშავება, რომელიც აუცილებლად უნდა აისახოს სგშ-ს დოკუმენტში. აღნიშნულს ამყარებს ასევე კლიმატური მდგომარეობა გომისმთის ალპურ ზონაში, თოვლის საფარი, რომელიც პირველად ჩნდება ნოემბრის თვეში და მარტის თვის ბოლომდე ნარჩუნდება.

## დასკვნები და რეკომენდაციები

გარემოსდაცვითი შეფასებისათვის სტრატეგიული დოკუმენტის სკოპინგის ანგარიში უნდა შეიცავდეს დეტალურ გეგმებს (განხორციელების გზებით, რესურსებით და მოცულობით) შემდეგ პოზიციებზე (რომელიც უზრუნველყოფს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირებას):

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების შედეგები, მათი თავიდან აცილება, შემცირება, შერბილება. ინფორმაცია უნდა მოიცავდეს როგორც საქმიანობის განხორციელების, ისე შემდგომი ექსპლუატაციის ეტაპებს (ალტერნატივების ათვლით).

საკითხს ართულებს ის, რომ ამ ეტაპისათვის სანიტარიული დაცვის ზონები (სდზ) არ არის დამტკიცებული კურორტ გომისმთისათვის, ხოლო როცა შესწავლილ იქნება მინერალური წყლის ე.წ. „თუმანოვის წყაროს“ კონდიცია და სამკურნალო თვისებები საჭირო გახდება სდზ-ის დადგენა და რეჟიმის დამყარება მინერალური წყლის საბადოს დაბინძურებისაგან დაცვისათვის. სდზ დამტკიცების შემდეგ, გასატარებელი რეჟიმის სანიტარიულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების, სამკურნალო მინერალური წყლის, საკურორტო ტერიტორიების დაცვის, ასევე სანიტარიული დაცვის ზონებში ამკრძალავი ღონისძიებების გათვალისწინებით უნდა მოხდეს გომისმთის განაშენიანება და შემდეგ დაიგეგმოს/გადაწყდეს კურორტის ნებისმიერ ნაწილის განვითარება.

საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს ტურიზმის ხელშეწყობა და ამ მიზნით სარეკრეაციო ტერიტორიების და საკურორტო

ინფრასტრუქტურის განვითარება. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია კურორტი გომისმთის ფუნქციონირება მთელი წლის განმავლობაში და სამომავლოდ განვითარება. ასევე, მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაფუძნებული დაგეგმარების გათვალისწინებით მაღალი დონის ტურისტულ-სარეკრეაციო კომპლექსების შექმნა. ამჟამად სარეკრეაციო ტერიტორიებზე სამშენებლო განვითარების მიზნით გაზრდილმა ინტერესმა შესაძლოა მნიშვნელოვანი და გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს კურორტს.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ - ს საქართველოს კანონის შესაბამისად სგშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგში აღნიშნული რეკომენდაციების, ჩასატარებელი საბაზისო კვლევების შედეგები და სრულყოფილი ინფორმაცია ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედების მასშტაბის შესახებ, პოტენციური გარემოს რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირების და მათი შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა კურორტის დაგეგმვის, განვითარების, მშენებლობის და ოპერირების ეტაპებზე.

პატივისცემით,

სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი

ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის

გენერალური დირექტორი

ამირან გამყრელიძე

